

მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებები გოდერძო ჩოხელის მოთხრობაში „ღმერთის შვილები“

წიგნაძე შორენა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
<https://doi.org/10.52340/idw.2025.41>

აბსტრაქტი: მოთხრობაში ასახულია მეორე მსოფლიო ომი და ბრძოლის ველზე მყოფი საჰაერო ძალების ამბავი, რომელიც ფრონტის ხაზიდან წერილებით ამხნევებს სოფელში დაბრუნებულ დაჭრილ მეგობარს. მოთხრობაში მრავლად გვხვდება სხვადასხვა მხატვრული ხერხი, რომელთა საშუალებით იგი ემოციური და საინტერესოდ აღსაქმელია. გოდერძი ჩოხელი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით, განსაკუთრებით სიმბოლოების გამოყენებით, ყურადღებას ამახვილებს ქართული იდენტობის უმნიშვნელოვანეს ცნებებზე - ანბანი, რწმენა, ეროვნული თვითმყოფადობა, სინდისი.

ერთია მოთხრობის შინაარსი, მეორე კი - რა საშუალებებს, რა ხერხებს მიმართავს ავტორი მკითხველზე ზემოქმედებისათვის. თითოეული სიტყვის ძალა დამოკიდებულია აზრის სამოსელზე, გულმოდგინედ შერჩეული სიტყვების ძალაზე. მოთხრობის შესწავლამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც მოთხრობის მხატვრულ გამომსახველობით ნიშნებს გამოკვეთს. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, სიმბოლოები; ასევე დიალექტური ლექსიკა, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება პერსონაჟთა მეტყველებაში, თუმცა ავტორისეულ თხრობაშიც დასტურდება: „ბიჭო, შე კაი ადამიანო და კაი უდურზე აწყობილო“... „დედამიწაზე სამართალი სულ გამაილია, დაძინებულ დევს რო ჯიბეში ხელებს მიფათურები, ჰა?!“ აბა, შამამხედე, საით ამცდება?“ „მამინ ჯიელები ვიყავით და ჯიელის იღბალი თავისი სიჯიელუა. ყოველდღე იღბალს რო მისტიროდა, როგორც ჩანს, ჯიელსაც ისევე სჭირდება იღბალი, როგორც ბებერს“.

პერსონათა მეტყველებაში ასევე უხვად გვხვდება ანდაზები და ხალხური სასაუბრო ფრაზები: „ვისაცა სცალია და იმან ცივი წყალი დალიოს“; „უგვანო ბუზი იქ ბზუისო, სადაც ტყეილი ტყუისო“; „- რასა ვშვრები და გულსა ვხარშვ დარდის ბალღამში“.

გოდერძი ჩოხელი ექსპრესიულობის გასაძლიერებლად ხშირად იყენებს გამეორებას: „სიკვდილისა არც მშინებია და არც მეშინია“; „ნახე, დევოო, ნახე, დევოო, როგორ შემომიბღვირა!“ „... ღმერთამ ისიც კი იცის, გულისგულში რო სიყვარული იმალება, იმ სიყვარულის გულისგულში რა სიყვარულია და იმ სიყვარულის გულისგულში რა სიყვარულია“; „როგორია, კაცი ხარ თუ დევი ხარ...“

ტროპული საშუალებებიდან მრავლად გვხვდება შედარების მაგალითები: „მაგრამ საჰაერო რო შენსავით დევგარეული ვერ გაიზარდა“; „უკუნ ღამეში სანთლებივით გვინათენს ეს ხეები გზას“; „ანგელოზები ბროწეულივით წითელ თხილს კრეფდნენ და ღმერთს სთავაზობდნენ“; „იმისმა ანგელოზივით გულმა კი ისე შეწყვიტა ფეთქვა, ისევ ეძინა ლევანს“.

უხვად გამოყენებული მხატვრული საშუალებები მოთხრობაში ის სულიერი გზამკვლევა, რომელიც მკითხველს ადამიანურ ფასეულობებზე - მიტევებაზე, თანაგრძნობაზე, სიბოძსა და რწმენაზე აფიქრებს.

საკვანძო სიტყვები: ანბანი, რწმენა, ეროვნული თვითმყოფადობა, სინდისი, დარდი.

გოდერძი ჩოხელის „ღმერთის შვილების“ კითხვისას თავიდან ფიქრობ, რომ იუმორისტული ჟანრის მოთხრობაა. თუმცა სიღრმეებში შესვლის შემდეგ იცვლება

დამოკიდებულება და გრძნობ, რომ ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართული იდენტობის უმნიშვნელოვანეს ცნებებზე - ანბანი, რწმენა, ეროვნული თვითმყოფადობა, სინდისი - და ერთ ჰარმონიულ მთლიანობად კრავს.

თხრობა იწყება სოფლის სახელის დარქმევის ისტორიით: ღმერთმა ერთი ღამე სოფელში გაათია და იქაურები დაარიგა, ღირსეულად ეცხოვრათ. იმ ადგილს მას შემდეგ „ღმერთის შვილები“ დაერქვა. სოფლის მოსახლეობა ცდილობდა სულიერი სისპეტაკე განემტკიცებინათ, სატანის მძლავრობის პერიოდში შთამომავლებისთვისაც, შეძლებისდაგვარად, სულიერი ძალა და სიმტკიცე შენარჩუნებინათ. ეშმაკის ხრიკებს უპირისპირდება ხალხური გულწრფელობა და ძიება იმ კაცისა, რომელიც მისაბამად მიაჩნდათ. გადმოცემის თანახმად, ახალშობილის ჭიპლარს თუ სასურველ ადამიანს ჯიბეში ჩაუდებდნენ, მას დაემსგავსებოდა. ორი ჩვილის მამა ჩივის, კეთილშობილთა მოდგმიდან არავინ დარჩა სასურველი, რომ შვილი დაემსგავსოს. „როგორღაც ხო უნდა გაზარდონ კარგი შვილები!“ „ქვეყანას დევით ბიჭები სჭირდება“, „იფიქრეს, იფიქრეს და მოიფიქრეს: დევი ხო კეთილია და ისედაც გაზრახებულია“, „დევი ბიჭები თუ გვეყოლება, კეთილებიც იქნებიან და მტერსაც ადვილად მოერევიან“ - ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი გამოძებნეს დევის სახით, რადგან თვლიან, რომ დევი ჭკვიანი, კეთილი და თან ეშმაკზე გაზრახებულია. გადაწყვიტეს და ასეც მოიქცნენ, ერთმა დევის მარჯვენა ჯიბეში ჩადო ჭიპლარი, მეორემ - მარცხენაში. მაგრამ დევს ერთი ჯიბე გახვრეტილი ჰქონდა და ერთ-ერთი ჭიპლარი გაუვარდა. ამიტომ „ბაყდარი მართლა დევით ბიჭი გაიზარდა, საპყარი კიდე ნაცარქექიასავით“, თუმცა სული ორივეს დევით წმინდა ჰქონდა.

ერთია სურვილი, მეორე - ასრულება, მაგრამ წუთისოფელს რას გაუგებ, ყველაფერი ხომ იღბალზეა დამოკიდებული: „ღვთის შვილებს“ სჯერათ, რომ ყველას თავისი მისია აქვს და „საიქიოს იქით თუ კიდეც საიქიოა“ მაშინ ვერ შეძლებენ დაივიწყონ ერთმანეთი და კაცური ვალი, თანაც ჩოხელისეული ანტიტეზით: „კაცი სანამ ცოცხალია, არ მოკვდება, ხოლო თუ მოკვდება, აბა, მითხარ, რისილა უნდა ეშინოდეს, სიკვდილის იქით უფრო დიდი სიცოცხლეა“.

გოდერძი ჩოხელი არც ამ მოთხრობაში უვლის გვერდს ფიქრებს სიკვდილსა და ცოდვა-მადლზე, რომელზეც ბევრს ფიქრობენ ომში მყოფი მისი პერსონაჟები. ბაყდარის თქმით „მართლიც იქნება ამის მთქმელი, ცოდვა-მადლის ჩირგვებში ვზივართ, ჩემო საპყარ; ირგვლივ იმხელა ცოდვა-ბრალი ტრიალებს“ - სინონიმური წყვილებით გადმოცემული ეს სიტყვები ამძაფრებს ემოციას და კიდეც ერთხელ აფიქრებს ადამიანს მის არსზე. ბაყდარი, რომელიც იმყოფება ბრძოლის ველზე, სიკვდილთან არც თუ ისე შორს, სანგარში, საუბრობს არა შიშზე, არამედ ძალადობაზე, სიტყვაზე, მწერლის დანიშნულებაზე, რწმენაზე, წინაპრებზე, რელიგიაზე და ა.შ. თავშესაფარში, ომის სისასტიკეს შეფარებული, ცდილობს სიტყვის ძალას, ადამიანის სულის სიღრმესა და მწერლობის დანიშნულებაზე ფიქრს შეაფაროს თავი. მისთვის მწერლობა სულიერი მისიაა. ომში ყოფნის პარადოქსული რეალობა მოულოდნელად შემოქმედებისკენ უბიძგებს, რაც ქმნის გარკვეულ ანტიტეზას: სანგარი და ოცნება, ტყვია და სიტყვა. გმირს არ სურს ტყვიების სროლა, მას სურს სიტყვებით იბრძოლოს, რათა ადამიანი გადაარჩინოს და არა მოკლას. როგორც არაერთი ქართველი შემოქმედი გოდერძი ჩოხელიც განიხილავს მწერლის დანიშნულებას: მწერალს გაცნობიერებული უნდა ჰქდეს რას, რატომ და ვისთვის წერს და რელიგიურ-სოციალური სიმაღლიდან აკეთებდეს ამას. ემოციური ინტონაცია, სიტყვათა გამეორება მიგვანიშნებს იდეის მომწიფებაზე გმირის გულში: „ვიფიქრე, ვიფიქრე და

იცო, რა ვიფიქრე... მწერალი ის უნდა იყოს, ვინც სიტბოსა და სიცოცხლეს შთაბერავს სხვებს“. მწერლის მისია ნათლად იკვეთება შემდეგ შედარებასა და გაპიროვნებაში: „იმ მზის სხივს უნდა ჰგავდეს, გაზაფხულზე ნაადრევად მოსულ ყვავილს მოყვნილ ფოთლებს რომ გაუღებო, გაყვნილ ფესვებში გამლხვალ თოვლის თბილ ცრემლებს რომ ჩააწვეთებ, საიდანღაც წითელ პეპელას რომ შეისვამს და ყვავილის მხრებზე დასვამს... ყვავილებმა კი აუცილებლად უნდა უსმინონ მწერლებს...“ ერთ-ერთი მთავარი გზავნილი მწერალთან მიმართებით არის „სმენადი სიტყვა“. მწერლის სიტყვა უნდა იყოს გაგონილი, თორემ თვითომ მწერალი დაჰყენება: „ამქვეყნად მწერალზე ადრე არავინ ჰყენება, თუ მათ არ უსმენენ“. მოთხრობაში მკაფიოდ არის ფორმულირებული მთავარი გზავნილი: „მე მინდა ვიყო ისეთი მწერალი, თუნდაც ერთ ადამიანს მაინც არ დავუჰყენე საქართველოში“ - მეტაფორულად ნათქვამი რეალობა: მწერალის ერთი სტყვა შეიძლება იყოს ზღვარი სიკვდილისა და სიცოცხლის შორის.

მწერალი რეალურთან ერთად თანაბრად იყენებს ალეგორიულ ელემენტებს - ომის სასტიკი რეალობა მჭიდროდ ერწყმის მირაჟულ ხილვებსა და სიზმრებს (ღმერთთან ნათლობა, ღვთისმშობლის გამოჩენა), ერთ პლანზე ვითარდება პოეტური ალუზიები, ისტორიული ტრაგედია, პიროვნული და ქრისტიანული რწმენა.

მოთხრობა ასახავს საბჭოთა ანტირელიგიურ პოლიტიკას, ომისა და ადამიანური ტრაგედიების ეპოქას. ეპიზოდში მოხსენიებული ბებო სალომე და მისი ლევანი ნაციონალური კოლექტიური ტკივილის ალეგორიად გვევლინება. ბებო სიმბოლოა იმ დარდისა და სიდიადისა, რომელიც ომის დროს ქართველმა დედებმა იტვირთეს.

აპარეკასა და რუსი ჯარისკაცის ეპიზოდი ქმნის ძალადობის სპექტრს - ცოფიანი, უმოწყალო ძალადობა. აპარეკას სახით გოდერძი ჩოხელი აღწერს სისასტიკის, გაუმართლებელი ძალადობის სიმბოლოს. ძალადობისა, რომლის დროსაც პატრონმა არ შეიცოდა ჭირსა თუ ლხინში მუდმივი თანამგზავრი ცხენი სადარი. აპარეკამ ასევე არ დაინდო საკუთარი შვილი იმის გამო, რომ შეიცოდა ცხენი და მამას გაუწყრა, სიცოცხლეს გამოასალმა: „ფერდობზე გაიჭრა აპარეკი, რამდენიმე ნახტომით წამოეწია ბიჭს, ქოჩორში წაავლო ხელი, დაუწია თავი და მართლა ბატკანით დაკლა საცოდავი“. რეალობა სევდიანია, ავტორს შემოაწვება ნოსტალგია და ბავშვობის გახსენებით ცდილობს დაიცვას თავი იმ სინამდვილისაგან, რომელიც სიბინძურესთან, სიცრუესთან და მორალურ დეგრადაციასთან ასოცირდება: „თუ კარგად არ იცი მისასვლელ-მოსასვლელი გზები, ისე ჩაეფლობი ჭაობში, ვეღარ ამოხვალ“; „როცა რუსეთის ჭაობები და ავადსახსენებელი მოგონებები თავს მოგაბეზრებენ, ბავშვობა გაიხსენე“ - ეს ფრაზა არა მხოლოდ ნაწარმოების ემოციური ღერძია, არამედ მკითხველისთვის ერთგვარ მორალურ თავშესაფრად იქცევა, რადგან ბავშვობის გახსენება არ არის უბრალოდ ინდივიდუალური წარსულის ნოსტალგია, ეს არის სულიერი თავშესაფარი, რომელშიც ჯერ კიდევ სუფევს ჰარმონია ადამიანსა და ბუნებას შორის.

„ბავშვობაში როგორ თოვდა ხოლმე, როგორ თეთრი იყო ყველაფერი. ჩვენი მაღალი მთებიც თეთრ, კეთილ დევეებს ემსგავსებოდნენ და თავს დაგვყურებდნენ. სადღაც, თოვლიან მთის სიღრმეში ღამდამოებით დაიკმუვლებდა მშვიერი მგელი. ბერების მთის იქითიდან ნელ-ნელა ამოცურდებოდა მთვარე, მერე მეფურად გაცურდებოდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე. თოვდა და თოვდა. გვიხაროდა ზამთარი“ - ბავშვური სულის ნაწილებად ქცეული ყველა ელემენტი სიმბოლოებად გადაიქცევა.

საინტერესოაა წარმოჩენილი მწერლისეული მორალი იების ეპიზოდში. იები არა უბრალოდ ყვავილები, არამედ წინაპართა სულის სიმბოლოა. მათი მოწყვეტა

ცოდვასთან, დაუფიქრებლობასთან და სიწმინდის შელახვასთან არის გაიგივებული: „ეგ იები, შვილო, თქვენი პაპა-ბებიების ძვლებია; განა მართლა ძვლებია, იმ ძვლებს რომ მიწაში ყოფნა მოსწყინდათ, იმათი სურვილია, გარეთ იებად ამოვიდა მათი სურვილი“, ამიტომ მათი მოწყვეტა თითქოს ტოტემური ტაბუ ხდება.

საზოგადოების გადარჩენის საწინდარად, ღმერთთან ერის უწყვეტ კავშირად, ავტორი ასახელებს ქართულ ანბანს: „რა კარგია, რომ ჩვენ საკუთარი ანბანი გვაქვს ქართველებს, საპყარ...“ ამით გამოხატულია არა მარტო ენობრივი უპირატესობა, არამედ სულიერი იდენტობა და კავშირი ღმერთთან - „და ქართველებსაც გვაქვს ღმერთთან მისასვლელი გზა - ანბანი ქართული!“ - წარმოთქმული ფრაზა ანბანს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და ქართული დამწერლობის წმინდა ბუნებაზე მიაწვდის, რასაც ქართულ კულტურაში არაერთგზის ვხვდებით. ქართველების „გულისნადები“, „საგალობლები“ და „ყველაფერი, რაც კი ქართველებს გაგვაჩნია“, ანბანშია გათავისებული. იგი არის ეროვნული მეხსიერების, კულტურული მემკვიდრეობისა და სულიერი ფასეულობის შენახვა-გადაცემის საგანძური, ერის კოლექტიური ცნობიერების საცავი. პარალელი ათი მცნების ისტორიასთან, სადაც ღმერთმა ცნებები სიპის ქვაზე ანბანით დაუწერა, მიგვანიშნებს, რომ ამით ღმერთმა „ანბანს მიაწვდის ღვთიური ბეჭედი, ანბანი დადო ერსა და ღმერთს შორის“. როდესაც ხალხი ღმერთს „განუდგა“, მოსემ ფიცრები დაამტვრია, „ანბანი დაამსხვრია, ანბანი დაარღვია, დამსხვრეული ანბანით ისრაელს ღმერთთან მისასვლელი გზა მიმოუფანტა თვალწინ გაბრაზებულმა“. მონაკვეთის სიმბოლური დატვირთვა მიაწვდის, რომ ანბანის უგულვებელყოფა ან დაზიანება ღმერთთან კავშირის გაწყვეტას, სულიერ კატასტროფასა და ეროვნული იდენტობის დაკარგვას ნიშნავს. ქართული ანბანი, ამ კონტექსტში, განიხილება, როგორც ერის უწყვეტი კავშირი ღმერთთან და მისი სულიერი გადარჩენის საწინდარი.

შემდეგი მონაკვეთი ომის რეალობასა და დანგრეული ეკლესიის ხატს ეძღვნება. ეკლესია მრავალშრიან სიმბოლოდ გარდაიქმნება: ერთდროულად არის რელიგიური სივრცე, ქვეყნის რუკა და ქართველი ხალხის სულიერი მდგომარეობა. მზაყდარი იხსენებს როგორ გადაურჩა რამდენიმე ათეული კაცი სიკვდილს ეკლესიის ნანგრევებში შეფარებით. ეკლესიის, როგორც სამშობლოსა და რწმენის სიმბოლოსი, დანგრეული ეკლესიების სახეს აკავშირებს საქართველოს ყოფასთან: „ჩვენი დღევანდელი საქართველო... ზოგი კედელი ჩამონგრეული აქვს, უგუმბათოა, ჩამოშლილი კედლის ქვები კი ის ქართველებია, სატანამ რომ მიმოფანტა აქეთ-იქით.“ ეს არის მეტაფორა გაჭირვებული, დანაწევრებული და სულიერად დაზიანებული სამშობლოსი, სადაც „სატანამ“ მიმოფანტა ქართველები. მიუხედავად ამისა, იმედი შენარჩუნებულია – ის კედლები, რომლებიც ფეხზე დგას, წარმოადგენს გადარჩენილ საფუძველს, იმ ნაწილს, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს სიცოცხლეს. ხეები, რომლებიც კედლებზეა ამოსული, სიცოცხლის ციკლის და იმედის სიმბოლოა.

სიზმარში ნანახი საქართველოს რუკის ფორმის ეკლესია - სიმბოლოა ერთიანი, განუყოფელი საქართველოსი, სადაც ეკლესია მთელ ერს აერთიანებს. ის, რომ ქართველები „გარეთ ვიყავით და ველოდებოდით“, მიაწვდის განცალკევებაზე, მოლოდინზე და იმედზე, რომ ოდესმე კვლავ გაერთიანდებიან და შევლენ ამ აღდგენილ ტაძარში. ზარების რეკვა, სამღვდლო პირთა ხატებითა და დროშებით გამოზრძანება და ხალხის გალობა ერის სულიერ გამოღვიძებასა და აღორძინებას განასახიერებს. ეს არის გზა სიკვდილიდან სიცოცხლისკენ, დაშლიდან გაერთიანებისკენ, სასოწარკვეთიდან რწმენისკენ.

მთხრობელის ოცნება - „დანგრეული ეკლესია აღარ იქნება“ – საქართველოს სრული

აღდგენის, გამთლიანებისა და სულიერი განახლების სურვილია. ჩუქურთმები კედლებზე, რომლებიც „ფეხზე დგას“, მიანიშნებს კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებაზე, წარსულის სილამაზისა და ღირებულებების დაბრუნებაზე. „შევალთ მერე ქართველები აშენებულ ეკლესიაში, ჩვენი წინაპრების ანბანით დაწერილ საგალობელს ვიგალობებთ და ღმერთიც შეგვისმენს.“ ეს ფრაზა ქართული ანბანის, რწმენისა და ეროვნული ერთიანობის სიწმინდის საფუძველს წარმოადგენს. გალობა, როგორც ლოცვა, ღმერთთან უშუალო კავშირის საშუალებაა, რომელიც აღორძინებულ საქართველოსა და განახლებულ ქართველ ერს აკავშირებს შემოქმედთან. „შენ ხარ ვენახის“ გალობა კი ამ ერთიანობის, რწმენისა და ერის გამძლეობის სიმბოლოა. მთხრობელის მოწოდება „მთელი საქართველო აგვყვეს“, ქართველი ხალხის გაერთიანების, ღმერთის მოწყალების მოპოვების გზაა.

განსაკუთრებით ღრმა ფილოსოფიური შრე იხსნება „ნამუსის“ ცნების განხილვით. ბაყდარი ხაზს უსვამს, რომ „ფიქრის უფლება ვერ წაგვართვეს სატანის მოციქულებმა“, რაც მიანიშნებს სულიერ თავისუფლებაზე, რომელიც არ ექვემდებარება გარეშე ძალებს. „ნამუსზე ვფიქრობ“ – ეს ფრაზა ნამუსს ადამიანის შინაგანი სამყაროს, ზნეობის ცენტრში აყენებს.

„ნამუსი კაცის მარილია“ – მეტაფორა ნამუსის ფუნდამენტურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს. მარილის გარეშე საჭმელი უგემურია, ისევე როგორც ნამუსის გარეშე ადამიანი კარგავს თავის ღირსებას, არსებობის აზრს. ნამუსი არის ის, რაც ადამიანს აცოცხლებს, სულიერად ამდიდრებს და აკეთილშობილებს. პერსონაჟი საუბრობს წინაპრებზე, რომლებიც „თავისი ნამუსით ერის მარილად რო იქცნენ, სადღაც, ქართველი ერის ისტორიის კუთხე-კუნჭულში, სანთლებად აენთნენ.“ ეს არის ხარკი იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც საკუთარი ცხოვრება და მსხვერპლი ერს შეწირეს. მათი ნამუსი გახდა ის „ნათელი“, რომელიც თაობებს გზას უნათებს და იცავს სიბნელისგან: „დაილოცოს იმათი სახელი, იმ ჩვენი დიდი წინაპრების, ვინც საქართველოსთვის სანთლებად აენთნენ და თავიანთი ნამუსი მარილად დააყარეს ჩვენს მომავალს, ჩვენს სამარადეო ყოფნას, ჩვენს გულგონებას!“ – ნამუსი, როგორც უძვირფასესი საუნჯე, წინაპრებმა მომავალ თაობებს დაუტოვეს როგორც მემკვიდრეობა, რომელიც განსაზღვრავს ერის არსებობას, მის გულსა და გონებას. თუ არა „მგლების ხროვასავით დავერეოდით ერთმანეთს და დავჭამდით“ – ამ შედარებით ხაზგასმულია ნამუსის მორალურ-ეთიკური როლი საზოგადოების გადარჩენაში.

მოთხრობის ბოლო ნაწილი ეძღვნება დარდსა და, უჩვეულო, ალეგორიულ დიალოგს ბუზთან.

მოთხრობელი აღნიშნავს, რომ დარდი კაცის განუყოფელი ნაწილია: „კაცს თუ რაღაც დარდი არ აწუხებს... ის კაცი კი არა და...“ დარდი აქ არის კაცის მომწიფების, სიღრმისა და ადამიანურობის ნიშანი. ის „კაცს ალამაზებს, როგორც დილის ნისლი - მაღალ მთას“, და „ღვთისმშობლის ხატისწინ დანთებული თაფლის სანთელივით“ ანთია სულში - ეს შედარება დარდს წმინდა, სულიერ განზომილებას ანიჭებს, თითქოს ის განწმენდისა და ლოცვის ნაწილი იყოს. მნიშვნელოვანია, რომ დარდს „გული არ უნდა შააჰმევიწიო“, ანუ ის უნდა იყოს ძალის მომცემი და არა გამანადგურებელი.

რაც შეეხება ბუზის ალეგორიას: საპყარის მონათხრობი უჩვეულო ბუზთან შეხვედრის შესახებ მთელ მონაკვეთს ფანტასტიკურ-ალეგორიულ ელფერს სძენს. ბუზი, რომელიც ზომით თითქმის ადამიანის ტოლია და ლაპარაკობს, არის ბოროტების, უსამართლობისა და უაზრობის განსახიერება. ის წარმოადგენს იმ ძალას,

რომელიც ცდილობს ადამიანის განადგურებას, მის „შეჭმას“, რათა ის „აღარ იქნას“. ბუზის მედიდურობა და საპყარის „შიში“, რომელიც მას „უგემურად გადააქცევს“, ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ ანადგურებს შიში ადამიანის არსს.

ბუზის განცხადება, „შენ რომ ომიდან ცოცხალი არ მოსულიყავი, ბაყდარი დღესაც სახლში იქნებოდა,“ ირონიულად მიანიშნებს ბოროტების უაზრო ლოგიკაზე, რომელიც ცდილობს ადამიანურ კეთილგანწყობასა და სიცოცხლესაც კი დაუპირისპირდეს.

ბუზის თითქოსდა „ღვთიური“ წარმოშობა („ბაყდარის მამა რომ დევს ჭიპი ჩაუდო ჯიბეში, სწორედ იმ ჭიპზე ვიჯექი და იქ უცებ ისე გავიზარდე, ძლივს ამოვფრინდი“) შესაძლოა, მიანიშნებდეს იმაზე, რომ ბოროტება შეიძლება მოულოდნელად, თითქოსდა უმნიშვნელო წყაროდან წარმოიშვას და გაიზარდოს.

საპყარის პასუხი ბუზს, „უგვანო ბუზი იქ ბუზის, სადაც ტყუილი ტყუისო“, არის სიკეთის, ჭეშმარიტებისა და გამჭირაზობის გამარჯვება ბოროტებაზე. საპყარი ხვდება, რომ ბუზის ძალა ტყუილზე, უაზრობაზეა დაფუძნებული.

დიალოგის კულმინაცია, როდესაც საპყარი ბუზს უყვება ჰიტლერზე და ბაყდარის სიცოცხლის საფრთხეზე, ბუზის „გადარევა“ და ჰიტლერის „მზის დაბნელების“ სურვილი პარადიულად წარმოაჩენს ბოროტების, თუნდაც ალეგორიული ბუზის სახით წარმოდგენილის, ფოკუსირებას დიდ, სისტემურ ბოროტებაზე. ბუზი, რომელიც თავად არის „ბოროტება“, ცდილობს შეებრძოლოს კიდევ უფრო დიდ ბოროტებას – ჰიტლერს. ეს ტრაგიკომიკური სურათია, სადაც მცირე ბოროტება აღმფრთხილებას გამოხატავს დიდ ბოროტებაზე. თუმცა საპყარის შიში, რომ ბუზს „თავგზააბნეულს სხვა არავინ შემოეჭამოს და დავიღუპნეთ“, მიანიშნებს იმაზე, რომ ბოროტების ნებისმიერი გამოვლინება, თუნდაც „კეთილი“ განზრახვით, მაინც საფრთხის შენცველია. ბუზის ალეგორია კი მოთხრობას სიღრმესა და იუმორის ელფერს მატებს, რაც ჩოხელის პროზის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

ამდენად, განხილული მონაკვეთები წარმოადგენს ქართული იდენტობის, სულიერი ფასეულობებისა და ბრძოლის მარადიული ხასიათის პოეტურ დეკლარაციას. გოდერძი ჩოხელი, ანზანის, ეკლესიის, ნამუსისა და დარდის თემების გაშლით, სხვადასხვა მხატვრულ გამომსახველობითი საშუალების გამოყენებით, ქმნის შთამბეჭდავ სურათებს, რომლებიც მკითხველს აფიქრებს ეროვნულ თვითმყოფადობაზე, რწმენის ძალაზე, სიკეთისა და ბოროტების მარადიულ დაპირისპირებაზე. საბოლოო ჯამში, ეს არის იმედის გზავნილი, რომ მიუხედავად განსაცდელებისა, ქართველი ერი თავისი ანზანით, რწმენითა და ნამუსით შეძლებს აღორძინებას.

ლიტერატურა:

1. გვენცაძე, ალ. (1991), ზოგადი სტილისტიკა, გამომცემლობა „განათლება“, თბ.
2. ლლონტი, ალ. (1988), ქართული ენის ლექსიკოლოგია, გამომცემლობა „განათლება“, თბ.
3. წიგნაძე, შ. (2023); უარყოფითი ემოციის გამოხატველი ზოგი სტილისტიკური კატეგორია გოდერძი ჩოხელის რომანებში. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. №1 (36), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ.

საანალიზო წყარო:

1. ჩოხელი, გ., (2022) პროზა, პოეზია, წერილები; თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“.

**Artistic means of expression in Goderdzo Chokheli's story
"Children of God"**

Tsignadze Shorena

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

The story portrays the events of the Second WW2 and the story of a soldier on the battlefield, who sends letters from the front line to his wounded friend, now returned to their village. The narrative employs a variety of artistic techniques that render it both emotionally resonant and intellectually engaging. Through the use of literary devices - particularly symbolism - Goderdzi Chokheli draws attention to fundamental aspects of Georgian identity, including the alphabet, faith, national consciousness, and moral integrity.

Beyond the narrative itself lies the question of how the author communicates with and influences the reader. The impact of each word depends not only on its meaning but also on the deliberate precision with which it is chosen. A close analysis of the story reveals the linguistic tools that define its artistic expression, with symbolism standing out as the most prominent. Additionally, dialectal vocabulary appears frequently in the speech of the characters and occasionally in the narrator's voice as well—for instance:

"Did justice disappear from over the earth, you are going through in my pockets as I sleep it Well, look at me, from which side is it going to pass by me?"

"We were young then, and young luck is its own young. Every day, when luck cries out, it seems that a youngsters needs luck just as much as an old man."

Proverbs and folk expressions also feature prominently in the characters' dialogue, adding cultural authenticity and thematic depth:

"Whoever has time, drinks cold water"; "A worthless fly buzzes where lies lie"; "What am I doing is boiling my heart in the gloom of sorrow?"

Chokheli frequently employs repetition to intensify emotional effect and reinforce key ideas:

"I am never feared death and I am still not afraid of it"; "Look, giant, look, giant, how it has struck me!"

"... God even knows that love is hidden in the heart of the heart, what love is in the heart of that love and what love is in the heart of that love"; "What is it like, are you a man or a giant ..."

The story also makes extensive use of similes and metaphors, enriching the text with vivid imagery:

"In the distant night, these trees light our way like candles"; "Angels were picking nuts as red as pomegranates and offering them to God"; "His angelic heart stopped beating, and Levan slept again."

Ultimately, the diverse array of literary devices in the story serves as a spiritual compass, guiding the reader to reflect on enduring human values such as forgiveness, compassion, warmth, and faith.

Keywords: Alphabet, belief, national complacency, conscience, worry.